



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 191

2015 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2015 წლის ახალგაზრდა
მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის შედეგად გამარჯვებული
პროექტების დამტკიცების შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის
13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-5 მუხლის „ე“
ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის
28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“
და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და
ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის დავით ჩიჩუას სამსახურებრივი
ბარათის (N1306988, 15.12.2015წ. და N1311284, 16.12.2015წ.) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2015 წლის
ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის შედეგად
გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;
2. საკონკურსო კომისიის 2015 წლის 14 დეკემბრის N2 სხდომის ოქმის
გათვალისწინებით დამატებით დაფინანსდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის 2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო
კონკურსზე დარეგისტრირებული ყველა პროექტი რომელმაც შეფასების შედეგად
მიიღო 49 და მეტი ქულა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
3. ამ ბრძანების დანართი N3-ით გათვალისწინებულმა პირებმა სსიპ - შოთა
რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში არაუგვიანეს 2015 წლის 21 დეკემბრისა
საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინონ დანართი N3-ით
გათვალისწინებული დოკუმენტები;

4. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი ერთით და დანართი N2-ით გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2015 წლის 25 დეკემბრისა;
5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი



დანართი 1

დაბტკიცებულია
 სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გენერალური დირექტორის
 2015 წლის 17 დეკემბრის N191 ბრძანებით

N	შიფრი	მასპინძელი ორგანიზაცია	პროექტის სათაური
1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი			
1	YS15_1.2.6.2_103	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სივრცის იმპაგოლოგია ქართულ ლიტერატურაში (მე-19 საუკუნის ჩათვლით)
2	YS15_1.2.1.5_57	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო	კახეთის რეგიონის ხელოვნური წყალსაცავების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების შესწავლა
3	YS15_1.2.1.5_113	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	პალინოლოგიის როლი დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის სამაროვნების კვლევაში
4	YS15_1.2.1.6_45	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ქართული ვაზი, მისი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო მევენახეობის ისტორიაში. (მოლეკულური კვლევა)
2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT)			
2.1 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი			
5	YS15_2.1.3_92	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ექსტრაორდინარული პულსარების თანამედროვე დაკვირვებები და მათი თეორიული ინტერპრეტაცია
6	YS15_2.1.6_96	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგნოზირებული ეპითელური უჯრედების პოპულაციის იდენტიფიკაცია და ფუნქცია პანკრეასის ქსოვილში
7	YS15_2.1.2_9	საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი	პოსტ-კვანტური კრიპტოგრაფია
8	YS15_2.1.4_110	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ამიდების კატალიზური სინთეზი ალდოქსიმების გადაჯგუფებით და ამიდო-და ციანოაცეტილენების ჰიდროამინირება